

რას ამბობენ კანონები რწმენისა და
აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ

2011

საერთაშორისო დოკუმენტები

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

მუხლი 18

ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა, ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმსარებლობისა როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად, მოძღვრებაში, ღვთისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წესჩვეულებათა შესრულებაში საჯარო თუ კერძო წესით.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

მუხლი 18

თითოეული ადამიანი სარგებლობს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით. ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ ჰქონდეს ან მიიღოს რელიგია ან მრწამსი და თავისუფლად აღიარებდეს თავის რელიგიასა და მრწამსს, როგორც ცალკე, ისე სხვებთან ერთად საჯარო თუ კერძო წესით, ასრულებდეს და გამოხატავდეს საკუთარ რელიგიას ლოცვით, მოძღვრებითა და სწავლებით.

არავინ არ უნდა დაექვემდებაროს იძულებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას, ჰქონდეს ან მიიღოს საკუთარი არჩევანის რელიგია ან მრწამსი.

რელიგიისა და მრწამსის აღიარების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში და საზოგადოების უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ასევე სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით.

წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, პატივი სცენ მშობელთა და შესაბამისად კანონიერ მეურვეთა უფლებას საკუთარი მრწამსის შესაბამისად უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია

მუხლი 9

ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და აგრეთვე თავისუფლებას როგორც ინდივიდუალურად ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესის დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.

რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯამრთელობის თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუცია

მუხლი 9, პუნქტი 1

სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

მუხლი 14

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

მუხლი 19

ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლენა არ ლახავს სხვათა ინტერესებს.

მუხლი 26

1. ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.

3. დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, ეროვნული, კუთხური, რელიგიური ან სოციალურ შუღლის გაღვივებას.

კონსტიტუციური შეთანხმება (კონკორდატი)

საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით და საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის 2002 წელს დადებული კონსტიტუციური შეთანხმებით (კონკორდატით), რომლის თანახმად მართლმადიდებელი ეკლესია გამოცხადდა სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, ეკლესიამ მიიღო ქონებრივი და საგადასახადო პრივილეგიები, სასულიერო პირები გათავისუფლდნენ სამხედრო ვალდებულებებისაგან, სახელმწიფომ სამართლებრივად აღიარა ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვრისწერა, რამდენიმე ქართული მართლმადიდებლური დღესასწაული გამოცხადდა ეროვნულ დღესასწაულად და არასამუშაო დღედ. განისაზღვრა სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და ა.შ.

სისხლის სამართლის კოდექსი

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების დაცვისათვის სამართლებრივ გარანტიებს ითვალისწინებს ასევე სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის მიხედვით, ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა; სიტყვის აზრის, სინდისისა და აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის რელიგიურ მოღვაწეობასთან

დაკავშირებით ადამიანის დევნა; რელიგიისადმი დამოკიდებულების ან აღმსარებლობის გამო ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მიჩნეულია დანაშაულებრივ ქმედებებად და მათ მიმართ დადგენილია მკაცრი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მუხლი 142. ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა

1. ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება,

-ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება:

ა) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

ბ) რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია,

-ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მუხლი 155. რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა

1. ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა,

-ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,

-ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მუხლი 156. დევნა

1. ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით,

-ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. იგივე ქმედება:

- ა) ძალადობით ან ძალადობის მუქარით;
- ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
- გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მუხლი 252. უკანონო გაერთიანების შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა

1. ისეთი რელიგიური, პოლიტიკური ან საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნა, რომლის საქმიანობას თან ერთვის ძალადობა ადამიანის მიმართ, ანდა ასეთი გაერთიანების ხელმძღვანელობა,

-ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გაერთიანებაში მონაწილეობა,

-ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

მუხლი 407. გენოციდი

გენოციდი, ესე იგი ქმედება, ჩადენილი შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად, რაც გამოიხატა ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, მათთვის ცხოვრების მძიმე პირობის განზრახ შექმნით, შობადობის ძალით შემცირებით ან ბავშვის იძულებით გადაცემით ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

მუხლი 408. დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ

დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, ესე იგი ნებისმიერი ქმედება, ჩადენილი სამოქალაქო მოსახლეობაზე ან პირებზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში, რაც გამოიხატა მკვლელობით, ადამიანთა მასობრივი განადგურებით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, დეპორტაციით, თავისუფლების უკანონო აღკვეთით, წამებით, გაუპატიურებით, სქესობრივ მორჩილებაში ყოლით, პროსტიტუციის იძულებით, იძულებით ორსულობით, ძალადობითი სტერილიზაციით, პირთა ჯგუფის დევნით პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, სქესობრივი ან სხვა ნიშნის საფუძველზე, აპარტიდითა და სხვა არაჰუმანური ქმედებით, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ მდგომარეობას,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

პატიმრობის კოდექსი

მუხლი 14. ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებები

1. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფილი იყოს:

გ) მონაწილეობა მიიღოს სპორტულ, კულტურულ, აღმზრდელობით და რელიგიურ ღონისძიებებში;

მუხლი 20. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

4. ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუძლია საკუთარი სახსრებით, გონივრული ოდენობით გამოიწეროს სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, რელიგიური და მხატვრული ლიტერატურა, ჟურნალ- გაზეთები, მიიღოს საწერი საშუალებები, გარდა მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული აკრძალული ნივთებისა.

მუხლი 52. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულება

1. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულებით გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

ო) ბრალდებულის/მსჯავრდებულის რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის და სასულიერო პირებთან შეხვედრის წესი.

„არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“

საქართველოს კანონი

მუხლი 3

„არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური არის საზოგადოებრივად სასარგებლო სამოქალაქო სამსახური, რომელიც ცვლის სამხედრო სამსახურს და ემყარება სამხედრო ვალდებულების სამხედრო სამსახურის ფორმით მოხდაზე უარის თქმის დასაბუთებას სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების საფუძველზე.“

საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელიც უარს აცხადებს სამხედრო სამსახურის გავლაზე, აზრის, სინდისის ან რელიგიის გამო, აქვს უფლება გათავისუფლდეს სამხედრო სამსახურისაგან და გაიაროს არასამხედრო, ალტერნატიული სამსახური -

ეკოლოგიურ, ხანძარსაწინააღმდეგო ან სხვა სპეციალურ არასამხედრო შრომით ფორმირებებში, სამოქალაქო დანიშნულების სამშენებლო, სარემონტო ორგანიზაციებსა და ობიექტებზე; ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში და ა.შ. მოქალაქეთა არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის ან გაწვევაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და შესაბამის ბრძანებას გამოსცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი მოქალაქეთა არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისიის დასკვნის საფუძველზე (**მუხლი 8. პუნქტი 5**).

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ვადაა:

ა) უმაღლესი განათლების მქონე პირისათვის – 18 თვე;

ბ) უმაღლესი განათლების არმქონე პირისათვის – 24 თვე. (**მუხლი 6. პუნქტი 1**);

მოქალაქე, რომელმაც მოიხადა არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური, რეზერვში ირიცხება 50 წლის ასაკამდე და შეიძლება გაიწვიონ სტიქიური უბედურებების და ავარიების შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოებზე, ასევე მობილიზაციის ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს.

კანონი “ზოგადი განათლების შესახებ“

2005 წლის 8 აპრილს პარლამენტმა მიიღო კანონი “ზოგადი განათლების შესახებ“. ძველი კანონის I თავის 13-ე მუხლით გათვალისწინებული იყო თანამშრომლობა მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ახალი კანონის თანახმად, საჯარო სკოლებში იკრძალება პროზელიტიზმი, ინდოქტრინაცია და არაკადემიური მიზნით რელიგიური სიმბოლოების გამოფენა. ეს ნიშნავს, რომ სასწავლო პროცესისას, არც ერთი რელიგიური გაერთიანების წარმომადგენელს ან პედაგოგს აღარ მიეცემა ამა თუ იმ რელიგიის გავრცელების ან რაიმე რელიგიურ რიტუალში მოსწავლის ჩაბმის უფლება. სახელმწიფო და რელიგია კონსტიტუციითა და კონსტიტუციური შეთანხმებით ერთმანეთისგან გამიჯნულია და შესაბამისად დაუშვებელია საჯარო სკოლა ან რელიგიური გაერთიანება სასწავლო საათებში ავრცელებდეს, მხარს უჭერდეს ან ეწინააღმდეგებოდეს ამა თუ იმ აღმსარებლობას. თავად მოსწავლეებს კანონი ამ მხრივ სრულ თავისუფლებას ანიჭებს.

მემორანდუმი განათლების სამინისტროსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის

განათლების სამინისტრომ კანონის მიღებამდე სამი თვით ადრე, 2005 წლის 22 იანვარს, საქართველოს საპატრიარქოსთან სახელმწიფოს მიერ დადებული

ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მემორანდუმი გააფორმა, რომელიც ერთობლივი კომისიის შექმნას გულისხმობს. კომისია შემდეგ საკითხებზე იმუშავებს:

ა) მართლმადიდებლური ქრისტიანული სახელმძღვანელოებისა და სასწავლო პროგრამების შედგენა; ბ) პედაგოგიური კადრების შერჩევის, მომზადებისა და დანიშვნა-გათავისუფლების პროცედურის შემუშავება; გ) მართლმადიდებელი სარწმუნოების შემცველი საგნებისა და შესაბამისი სახელმძღვანელოების განხილვის პროცესში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა მონაწილეობის პროცედურის შემუშავება; დ) საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საგანმანათლებლო და სააღმშრდელი დაწესებულებების დაფინანსებისა და ქონებრივი საკითხების სამართლებრივი უზრუნველყოფა და ე) მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თანამშრომლობის ფორმებისა და პირობების დადგენა.

საგადასახადო კოდექსი

მუხლი 15. რელიგიური საქმიანობა

1. რელიგიურ საქმიანობად ითვლება დადგენილი წესით რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციების (გაერთიანებების) საქმიანობა, რომლის მიზანია აღმსარებლობისა და სარწმუნოების გავრცელება, მათ შორის, ისეთი გზით, როგორცაა:

ა) რელიგიური წეს-ჩვეულებების, ცერემონიების, ლოცვების ან სხვა საკულტო მოქმედებათა ორგანიზება და ჩატარება;

ბ) მორწმუნეთათვის შესაძლებლობის მიცემა, ჰქონდეთ ან გამოიყენონ სამლოცველო შენობები ან სარიტუალო ნაგებობები რელიგიურ მოთხოვნილებათა როგორც ერთობლივად, ისე ინდივიდუალურად დასაკმაყოფილებლად;

გ) რელიგიური დელეგაციების, მომლოცველების, სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლების მიღებისა და გამგზავრების ორგანიზება, ეროვნული და საერთაშორისო რელიგიური თათბირების, ყრილობების, სემინარების ორგანიზება, აღნიშნულ ღონისძიებათა ჩატარების პერიოდში მათი მონაწილეობის სასტუმროებით (სხვა საცხოვრებლით), ტრანსპორტით, კვებითა და კულტურული მომსახურებით უზრუნველყოფა;

დ) მონასტრების, სამონასტრო ეკლესიების, სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების შენახვა, აღნიშნული სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა და მსმენელთა სწავლება, საქველმოქმედო ორგანიზაციების (საავადმყოფოები, თავშესაფრები, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლები) შენახვა, აგრეთვე კანონიკური წესებით განპირობებული სხვა ანალოგიური საწესდებო საქმიანობა.

2. რელიგიურ საქმიანობას უთანაბრდება იმ რელიგიური ორგანიზაციების (გაერთიანებების) საწარმოთა საქმიანობა, რომლებიც გამოსცემენ რელიგიურ (საღვთისმსახურო) ლიტერატურას ან აწარმოებენ რელიგიური დანიშნულების საგნებს; ამ ორგანიზაციების (გაერთიანებების) ან მათი საწარმოების საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია რელიგიური (საღვთისმსახურო) ლიტერატურის ან რელიგიური დანიშნულების საგნების რეალიზაციასთან (გავრცელებასთან); აგრეთვე ასეთი საქმიანობით მიღებული ფულადი სახსრების გამოყენება რელიგიური საქმიანობის განსახორციელებლად.

მუხლი 33. რელიგიური ორგანიზაცია

რელიგიურ ორგანიზაციად ითვლება ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია რელიგიური საქმიანობის განსახორციელებლად და ასეთად რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 172. გადასახადისაგან განთავისუფლება

მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება:

დ) საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება;

მუხლი 230. გადასახადისაგან გათავისუფლება

1. დღგ-ისაგან გათავისუფლებულია საქონლის/მომსახურების მიწოდების ან/და იმპორტის შემდეგი სახეები:

კ) საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების მიწოდება, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით; საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია, პროექტირება და მოხატვა, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საქართველოს კულტურის, ძეგლთა

დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარესტავრაციო, სარეაბილიტაციო, საპროექტო და კვლევითი სამუშაოების შესრულება;

რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაცია

როგორც აღვნიშნეთ რელიგიური ორგანიზაციები საქართველოში შესაძლოა დარეგისტრირდნენ, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირი.

საქართველოში ერთადერთი რელიგიური ორგანიზაცია, რომელსაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი აქვს, მართლმადიდებლური ეკლესიაა. სხვა რელიგიური გაერთიანებებისთვის ქართული სამართალი არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსს ითვალისწინებს. არასამეწარმეო იურიდიული პირის ცნება კი, თავისთავად, რამდენიმე სახის ორგანიზაციას მოიცავს: არასამთავრობო, საქველმოქმედო და რელიგიურ ორგანიზაციებს.

საქართველოს არ გაუვრცელებია საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, სხვა რელიგიურ ჯგუფებზე, საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციიდან და საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმებიდან.

რაც შეეხება სხვა რელიგიურ ჯგუფებს, მათ აქვთ უფლება დარეგისტრირდნენ კერძო სამართლის იურიდიულ პირებად ან მათი სურვილისამებრ ეწეოდნენ რელიგიურ საქმიანობას დაურეგისტრირებლად, მათი საქმიანობის არანაირი შეზღუდვა და აკრძალვა არ შეიძლება და ასეთი შემთხვევა ისჯება.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ორგანიზაცია, რომელიც რელიგიურ საქმიანობას ეწევა, განსხვავებულად იბეგრება და მასზე საგადასახადო შეღავათებია დაწესებული. მაგალითად, რელიგიური საქმიანობის ფარგლებში, სარიტუალო რეკვიზიტის წარმოება მთლიანად თავისუფლდება გადასახადისგან.

არასამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაცია - ახალი საკანონმდებლო ცვლილებები

2009 წლის 3 ნოემბრის საქართველოს კანონით „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ არასამეწარმეო იურიდიული პირის

რეგისტრაციას ახორციელებს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში 2009 წლის 3 ნოემბრის საქართველოს კანონით შესული ცვლილებების შესაბამისად, შეიცვალა სარეგისტრაციო მომსახურებისა და რეგისტრაციის მოსაკრებლის ოდენობა, რეგისტრაციის ვადები და სარეგისტრაციოდ წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა.

არასამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაცია

არასამეწარმეო იურიდიული პირი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

რეგისტრაცია დასრულებულად ითვლება ორგანიზაციის ამონაწერის გამოქვეყნებისთანავე. ასევე აღსანიშნავია რომ ამონაწერი წარმოადგენს რეგისტრაციის მოწმობას და არის უვადო.

სარეგისტრაციოდ წარსადგენი დოკუმენტებია:

- წესდება;
- დამფუძნებელთა კრების ოქმი (გადაწყვეტილება ერთი დამფუძნებლის შემთხვევაში).
- სარეგისტრაციო მოსაკრებლის – 100 (დაჩქარების შემთხვევაში 200) ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.
- ხელმძღვანელობაზე და წარმომადგებლობაზე უფლებამოსილი პირის ან პირების ხელმოწერის/ების ნიმუში.
- თანხმობა იურიდიული მისამართის შესახებ;

წესდება წარმოადგენს არასამეწარმეო იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტს, რომლითაც ხდება ორგანიზაციის სტრუქტურის მოწესრიგება. წესდება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდებას;

არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდება შესაძლებელია შეირჩეს დამფუძნებლების სურვილისამებრ. სახელწოდება არ უნდა შეიცავდეს ისეთ მინიშნებებს, რომელიც დამახასიათებელია კომერციული იურიდიული პირისათვის ან პოლიტიკური გაერთიანებებისათვის.

ორგანიზაციას არ გაატარებენ რეგისტრაციაში თუ მსგავსი სახელწოდების სუბიექტი უკვე არის რეგისტრირებული. რეკომენდებულია მოხდეს სახელწოდების გადამოწმება სარეგისტრაციო დოკუმენტების მომზადებამდე.

მონაცემებს არასამეწარმეო იურიდიული პირის ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) შესახებ;

არასამეწარმეო იურიდიული პირის ადგილსამყოფელი შეიძლება იყოს ნებისმიერ ადგილას საქართველოს ტერიტორიაზე.

არასამეწარმეო იურიდიული პირის საქმიანობის მიზანს;

ამ გრაფაში სრულად უნდა ჩაიწეროს საქმიანობის ის ძირითადი მიზნები, რომლისთვისაც იქმნება არასამეწარმეო იურიდიული პირი.

მონაცემებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლის (დამფუძნებლების) შესახებ (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სრული სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის რეკვიზიტები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები); თითოეული დამფუძნებლის შესახებ მონაცემები შეიტანება ცალ-ცალკე);

წესდებაში სრულად უნდა ჩაიწეროს დამფუძნებლის(ების) მონაცემები. თუ დამფუძნებელი ფიზიკური პირია, იწერება მისი პირადობის მოწმობის ან პასპორტის მონაცემები და ის მისამართი, რომელზეც იგი რეგისტრირებულია, ასევე დროებითი ადგილსამყოფელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო თუ დამფუძნებელი იურიდიული პირია, მაშინ ის

მონაცემები, რაც აღნიშნულია დამფუძნებელი იურიდიული პირის რეგისტრაციის მოწმობაში. იმ შემთხვევაში, თუ დამფუძნებელი იურიდიული პირი არ არის რეგისტრირებული საქართველოში (არარეზიდენტი), მაშინ მან უნდა გამოაგზავნოს საქართველოში მისი სადამფუძნებლო დოკუმენტაცია როგორცაა წესდება, ამონაწერი, რეგისტრაციის მოწმობა და ყველა ეს დოკუმენტები უნდა იყოს დამოწმებული აპოსტილით ან უნდა იყოს ლეგალიზებული.

მონაცემებს არასამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ორგანოების) შესახებ;

არასამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს, როგორც ერთი ფიზიკური პირი, ასევე რამდენიმე, რომელთა უფლებამოსილებას განსაზღვრავს დამფუძნებელი. თუ ხელმძღვანელი ორგანო გამგეობაა, მის წევრებს ნიშნავს დამფუძნებელი, ხოლო მათი შემდგომი არჩევა ან/და გათავისუფლება შეიძლება დარეგულირდეს წესდებით.

არასამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) შექმნის (არჩევის) წესსა და უფლებამოსილების ვადას;

წესდებაში უნდა აღინიშნოს ხელმძღვანელი პირის ან ორგანოს შექმნის/არჩევის წესი, და ვადა რომლის მანძილზეც იგი განახორციელებს ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას. ხელმძღვანელ ორგანოს ნიშნავს დამფუძნებელი (იგი თვითონაც შეიძლება იყოს ხელმძღვანელი) იგი ანიჭებს მას უფლებამოსილებას და განუსაზღვრავს მას ვადას.

მონაცემებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი პირის შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი);

იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელი ორგანო გამგეობაა, რომელიც შედგება წევრებისაგან, უნდა აღინიშნოს ყველა წევრის მონაცემები სრულად. თუ ხელმძღვანელი გამგეობასთან ერთად არის პრეზიდენტი/დირექტორი უნდა აღინიშნოს რომ ხელმძღვანელობას ახორციელებს ორივე ერთად და შესაბამისად ორივეს მონაცემები უნდა იყოს სრულად.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) მიერ გადაწყვეტილების მიღების წესსა და პროცედურას;

არასამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (გამგეობა/პრეზიდენტი) მიერ გადაწყვეტილებების მიღებისა და საქმიანობის წესსა და პროცედურებს, ასევე საკითხების სიას, რომელზეც აქვს უფლება ხელმძღვანელობას, მიიღოს გადაწყვეტილება განსაზღვრავს დამფუძნებელი და ასახავს წესდებაში. მათი ჩამონათვალი სრულად უნდა იყო ასახული.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირს (პირებს), მისი არჩევის წესსა და უფლებამოსილების ვადას;

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი შეიძლება იყოს დამფუძნებელი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც ხელმძღვანელი ორგანო მიანიჭებს ამ უფლებამოსილებას.

ასევე ხელმძღვანელი ორგანო განუსაზღვრავს მას უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებსა და ვადას (გარდა იმისა, რაც მას კანონით აქვს მინიჭებული).

მონაცემებს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), დაბადების ადგილი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი); წესდებაში უნდა ჩაიწეროს

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადი მონაცემები და უნდა მიენიშნოს ის მისამართი, რომელზეც იგი არის რეგისტრირებული, ასევე დროებითი მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრად მიღების წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესს, თუ იგი წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია; იმ შემთხვევაში თუ არასამეწარმეო იურიდიული პირი წევრობაზეა დაფუძნებული, მაშინ უნდა განისაზღვროს წევრების მიღებისა და მათი

გასვლისა თუ გარიცხვის წესი. ამ წესს თავდაპირველად ადგენს დამფუძნებელი, ასევე დამფუძნებელს შეუძლია წესდებით უფლება მიანიჭოს ხელმძღვანელობას, მოახდინოს წევრების მიღება ან გათავისუფლება.

რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს (პირის) დასახელებას და გადაწყვეტილების მიღების წესსა და პროცედურას, თუ იგი განსხვავდება ამ მუხლის პირველი ნაწილის „თ (8)“ ქვეპუნქტში მითითებული წესისა და პროცედურისაგან;

არასამეწარმეო იურიდიული პირის რეორგანიზაცია და/ან ლიკვიდაცია ხდება კანონით განსაზღვრული ნორმებით.

გადაწყვეტილებას რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციაზე იღებს დამფუძნებელი, ან ხელმძღვანელი ორგანო. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი დაწესდეს ხმათა რაოდენობა, რაც საჭირო იქნება აღნიშული საკითხის გადასაწყვეტად;

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წესდებას ხელს უნდა აწერდნენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ყველა დამფუძნებელი (დამფუძნებლები). წესდება მოწმდება ნოტარიუსის ხელმოწერითა და ბეჭდით.

აღნიშნული დოკუმენტები უნდა ჩაბარდეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამეწარმეო რეესტრს. (მისამართი. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24 მეტრო მარჯანიშვილის თავზე. მე-5 სართული. ასევე სააგენტოს ნებისმიერი სხვა ტერიტორიული დანაყოფი) სარეგისტრაციო დოკუმენტების ჩაბარებისას ადგლზე უნდა მოხდეს სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდა.

რეგისტრაციის საფასური და ვადები

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო რეგისტრაციას ახორციელებს განცხადების წარდგენიდან 1 სამუშაო დღეში. გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობისთანავე ან გამოქვეყნებისთანავე. კანონით ასევე შესაძლებელი გახდა რეგისტრაციის ვადის დაჩქარება. კერძოდ

საბუთების წარდგენისთანავე ორგანიზაციის რეგისტრაცია მოხდება სარეგისტრაციო მოსაკრებლის 200 ლარის ოდენობით გადახდის შემთხვევაში.

ის ცვლილებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს წესდებაში ან ამონაწერში საჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილებების რეგისტრაციის საფასური შეადგენს 100 ლარს. იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაცია ერთდროულად მოახდენს რამდენიმე სახის ცვლილებას (მაგ. იურიდიული მისამართისა და ხელმძღვანელის შეცვლა) სარეგისტრაციო მოსაკრებელი გადაიხდება საერთო ცვლილებებისათვის ერთჯერადად ანუ 100 ლარის ოდენობით. არასამეწარმეო იურიდიული პირის ამონაწერი საჯაროა და მისი მოთხოვნა შეუძლია ნებისმიერ პირს. ამონაწერის 1 სამუშაო დღეში მიღებისათვის საჭიროა სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდა 15 ლარის ოდენობით, ხოლო იმავე დღეს 50 ლარის ოდენობით.

თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს თქვენი დარღვეული უფლების აღსადგენად.

შეგიძლიათ მიმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.

რას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო?

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საერთაშორისო სასამართლოა, რომელიც მდებარეობს სტრასბურგში, საფრანგეთში. სასამართლოს შემადგენლობაში შემავალი მოსამართლეების რაოდენობა ტოლია ევროპის საბჭოს იმ წევრი სახელმწიფოების რაოდენობისა, რომელთაც რატიფიცირებული აქვთ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. მოსამართლეები დამოუკიდებლად მოქმედებენ – ისინი არ წარმოადგენენ ამა თუ იმ სახელმწიფოს. განაცხადების მიღებაში სასამართლოს დახმარებას უწევს სარეგისტრაციო ოფისი, რომლის შემადგენლობაში შედიან იურისტები ყველა წევრი სახელმწიფოდან.

რას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია?

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია საერთაშორისო შეთანხმებაა, რომლის ხელმოწერა მხოლოდ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ. კონვენციაში, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბებულია სასამართლო და განსაზღვრულია მისი მუშაობის მექანიზმი, ჩამოთვლილია ის უფლებები და გარანტიები, რომელთა პატივისცემის ვალდებულება იკისრეს ხელისმომწერმა სახელმწიფოებმა.

რას აკეთებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო?

სასამართლო მეთვალყურეობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესრულებას. მისი ამოცანაა, უზრუნველყოს, რომ ხელისმომწერმა სახელმწიფოებმა პატივი სცენ კონვენციაში განსაზღვრულ უფლებებსა და გარანტიებს. იგი შეისწავლის კერძო პირების ან, ზოგჯერ, სახელმწიფოების მიერ შემოტანილ საჩივრებს (ანუ "განაცხადებს"). როდესაც სასამართლო აღმოაჩენს, რომ წევრმა სახელმწიფომ დაარღვია კონვენციაში გათვალისწინებული ერთი ან მეტი უფლება თუ გარანტია, მას გამოაქვს განჩინება. განჩინებას სავალდებულო ხასიათი აქვს: ქვეყნები ვალდებულნი არიან, შეასრულონ სასამართლოს გადაწყვეტილება.

რა შემთხვევაში შემიძლია მივმართო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს?

სასამართლოში განაცხადის შეტანა იმ შემთხვევაში შეგიძლიათ, თუ მიგაჩნიათ, რომ უშუალოდ დაირღვა პირადად თქვენი უფლება თუ გარანტია, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციით ან მისი პროტოკოლებით, და დარღვევა ჩაიდინა ერთერთმა იმ სახელმწიფოთაგან, რომელთაც ნაკისრი აქვთ კონვენციის შესრულება.

რა და რა უფლებებია დაცული კონვენციით და მისი ოქმებით?

კონვენცია იცავს შემდეგ უფლებებს:

- სიცოცხლის უფლებას;
- სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას;
- პირადი და ოჯახური ცხოვრების მიმართ პატივისცემით მოპყრობის უფლებას;

- აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებას;
- შეხედულების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას;
- ქმედით სამართლებრივ ზომაზე უფლებას;
- საკუთრების მშვიდობიანი ფლობის უფლებას;
- არჩევნებში ხმის მიცემისა და თავად კენჭისყრის უფლებას.

რა იკრძალება კონვენციით და მისი ოქმებით?

კონვენცია კრძალავს:

- წამებას და არაადამიანურ თუ დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს;
- ადამიანის თვითნებურ და უკანონო დაკავებას;
- დისკრიმინაციას კონვენციით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას;
- სახელმწიფოს მიერ თავისი მოქალაქეების გასახლებას ან მათთვის ქვეყანაში შესვლის აკრძალვას;
- სიკვდილით დასჯას; და
- უცხოელების ჯგუფურ გასახლებას.

რა პირობებს უნდა ვაკმაყოფილებდე, სასამართლოში რომ საჩივარი შევიტანო?

- არ არის აუცილებელი, რომ ევროპის საბჭოს რომელიმე წევრი სახელმწიფოს მოქალაქე იყო. ის დარღვევა, რომელთან დაკავშირებითაც საჩივარი შეგაქვთ, ჩადენილი უნდა იყოს ერთერთი იმ სახელმწიფოს მიერ, რომელსაც აკისრია კონვენციის შესრულება, თავის "იურისდიქციაში", რაც, ჩვეულებრივ, მის ტერიტორიას გულისხმობს;
- თქვენ შეიძლება იყოთ კერძო პირი ან იურიდიული ერთეული, მაგალითად, კომპანია ან ასოციაცია;
- თქვენ პირადად და უშუალოდ უნდა იყოთ დაზარალებული იმ დარღვევით, რომელთან დაკავშირებითაც საჩივარი შეგაქვთ. თქვენ ვერ შეიტანთ ზოგად საჩივარს ამა თუ იმ კანონთან თუ ზომასთან დაკავშირებით იმის გამო, რომ ისინი უსამართლო გეჩვენებათ; ვერც სხვა ადამიანების სახელით იჩივლებთ (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თქვენ ამ ადამიანების ოფიციალური წარმომადგენელი ხართ).

არსებობს თუ არა რაიმე ისეთი პირობები, რომლებიც საჩივრის შეტანამდე ქვეყნის სასამართლოში უნდა შესრულდეს?

დიახ. დარღვევის ჩამდენ სახელმწიფოში თქვენ გამოყენებული უნდა გქონდეთ ყველა სამართლებრივი ზომა, რომლითაც შესაძლებელია თქვენს საჩივარში მითითებული სიტუაციის გამოსწორება (ჩვეულებრივ ეს ნიშნავს შესაბამისი სასამართლოსთვის მიმართვას, საჭიროების შემთხვევაში აპელაციას და შემდგომ აპელაციას კიდევ უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოში, როგორც არის უზენაესი სასამართლო (მისი არსებობის შემთხვევაში);

- არ არის საკმარისი უბრალოდ ამ სამართლებრივი ზომების გამოყენება. ამ დროს თქვენ რეალურადაც უნდა გქონდეთ აღძრული თქვენი საჩივარი (ანუ კონვენციის ის დარღვევები, რომლებთან დაკავშირებითაც საჩივარი შეგაქვთ);
- განაცხადის შესატანად ქვეყნის დონეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღიდან (ჩვეულებრივ, ყველაზე მაღალი ინსტანციის სასამართლოს განჩინებიდან) მხოლოდ ექვსი თვე გაქვთ. ამ დროის გასვლის შემდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ვერ მიიღებს თქვენს საჩივარს.

ვის წინააღმდეგ შემიძლია საჩივრის შეტანა?

- ერთი ან მეტი ისეთი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელსაც აკისრია კონვენციის შესრულება და რომელმაც, თქვენი აზრით დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ განიხილავს კერძო პირების თუ კერძო დაწესებულებების (როგორც არის, მაგალითად, კომერციული კომპანიები) წინააღმდეგ შეტანილ საჩივრებს.

რას შეიძლება ეხებოდეს ჩემი საჩივარი?

თქვენი საჩივარი უნდა ეხებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში გათვალისწინებულ ერთ-ერთ უფლებას. საჩივარი შეიძლება უკავშირდებოდეს ფართო სპექტრის საკითხებს, როგორც არის, მაგალითად: დაპატიმრებულ პირთა წამება და მათ მიმართ ცუდად მოპყრობა; დაკავების კანონიერება; სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის საქმეებში არსებული ნაკლოვანებები; დისკრიმინაცია უფლების გამოყენებისას; სპეციალიზებულ დაწესებულებებში მოთავსებულ ბავშვთა მშობლების უფლებები; საცხოვრებლისა და კორესპონდენციის პატივისცემა; შეზღუდვები აზრის გამოხატვაში ან

ინფორმაციის გადაცემასა თუ მიღებაში; ადამიანთა თავყრილობაში თუ დემონსტრაციაში მონაწილეობის თავისუფლება; გასახლება და ექსტრადიცია; საკუთრების კონფისკაცია და ექსპროპრიაცია.

როგორ უნდა მივმართო სასამართლოს, თუ მიმაჩნია, რომ დაირღვა კონვენციით გათვალისწინებული ჩემი უფლებები?

სასამართლოს უნდა გაუგზავნოთ წერილი, რომელშიც დაწვრილებით მიუთითებთ თქვენი საჩივრის არსს, ანდა უნდა შეავსოთ განაცხადის ფორმა და გაგზავნოთ ის შემდეგ მისამართზე:

The Registrar

European Court of Human Rights

Council of Europe

F-67075 Strasbourg Cedex

- საჩივარი შეგიძლიათ წარადგინოთ სასამართლოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე (ინგლისურად ან ფრანგულად), ანდა რომელიმე იმ სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე, რომელსაც რატიფიცირებული აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.
- თუ საჩივარს ფაქსის საშუალებით წარადგენთ, ფოსტით უნდა გააგზავნოთ, ასევე, წერილობითი დასტურიც;
- სარეგისტრაციო ოფისში შეიძლება მოგთხოვონ თქვენს საჩივართან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტების, ინფორმაციისა თუ ახსნა-განმარტების წარმოდგენა;
- თუ ხელთა გაქვთ განაცხადის ფორმის ასლი, ყურადღებით და გარკვევით უნდა შეავსოთ იგი და რაც შეიძლება სწრაფად გააგზავნოთ.
- განაცხადში მითითებული უნდა იყოს:
- ფაქტებისა და თქვენი პრეტენზიების მოკლე შეჯამება;
- კონვენციით გათვალისწინებული ის უფლებები, რომლებიც, თქვენი აზრით, დაირღვა;
- ის სამართლებრივი ზომები, რომლებსაც უკვე მიმართეთ;
- თქვენს საქმესთან დაკავშირებით ყველა მონაწილე საჯარო უწყების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ასლები (ეს დოკუმენტები არ დაგიბრუნდებათ, ამიტომ გამოაგზავნეთ მხოლოდ ასლები ასლები); და
- თქვენი, როგორც განმცხადებლის, ან თქვენი წარმომადგენლის ხელმოწერა.

- თუ არ გსურთ თქვენი ვინაობის გამჟღავნება, დაუყოვნებლივ შეატყობინეთ ამის შესახებ სასამართლოს და მიუთითეთ მიზეზები.
- გამართლებულია თუ არა თქვენი თხოვნა, პრეზიდენტი გადაწყვეტს;
- პროცესუალური ქმედების ამ ეტაპზე არ არის საჭირო, ადვოკატმა წარმოგადგინოთ. თუ მაინც გსურთ, რომ სასამართლოში საჩივარი წარმომადგენლის მეშვეობით წარადგინოთ, განაცხადის ფორმასთან ერთად უნდა გამოაგზავნოთ თქვენი ნებართვა, რომ ამ ადამიანს თქვენი სახელით მოქმედება შეუძლია.

რა ძირითადი თვისებები ახასიათებს პროცესუალურ ქმედებას?

- თქვენი საქმე უფასოდ განიხილება;
- გადასახდელი მხოლოდ საკუთარი ხარჯები (როგორც არის, მაგალითად, ადვოკატის ჰონორარი ან მოკვლევასთან და კორესპონდენციასთან დაკავშირებული ხარჯები) გექნებათ;
- განაცხადის შეტანის შემდეგ შეგიძლიათ ითხოვოთ იურიდიული დახმარება. იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა არ ხდება ავტომატურად და დაუყოვნებლივ; ეს დახმარება პროცესუალური ქმედების გვიანდელ ეტაპზე გაგეწევთ;
- პროცესუალური ქმედება წერილობითი სახით ტარდება. შესაბამისად, ჩვეულებრივ არ ხდება საქმის მოსმენა და სასამართლოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ წერილობით შეგატყობინებენ.

როგორ ტარდება პროცესუალური ქმედება?

- პირველ რიგში სასამართლომ უნდა განიხილოს, მისაღებია თუ არა თქვენი საჩივარი. ეს ნიშნავს, რომ საქმე უნდა შეესაბამებოდეს კონვენციაში ჩამოყალიბებულ გარკვეულ მოთხოვნებს. თუ ეს პირობები არ შესრულდა, თქვენი განაცხადი არ მიიღება. თუ რამდენიმე განაცხადი გაქვთ შეტანილი, შესაძლებელია, რომ სასამართლომ ერთი ან მეტი მათგანი მისაღებად მიიჩნიოს, სხვები კი უარყოს;
- თქვენი განაცხადის ან ერთ-ერთი საჩივრის მიღებლად ცნობის შესახებ გადაწყვეტილება საბოლოო და უცვლელია;
- თუ თქვენი განაცხადი ან ერთ-ერთი საჩივარი მისაღებად იქნება მიჩნეული, სასამართლო მოუწოდებს მხარეებს (თქვენ და იმ სახელმწიფოს, რომლის წინააღმდეგაც შეტანილი გაქვთ საჩივარი) საქმის მშვიდობიანი მოგვარებისკენ. ორივე მხარეს მოუწოდებენ, მიაღწიონ შეთანხმებას

საქმესთან დაკავშირებით. თუ საქმის მშვიდობიანად მოგვარება ვერ მოხერხდება, სასამართლო განიხილავს საქმის არსს – ანუ მიიღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, დაირღვა თუ არა კონვენცია.

რამდენ ხანს მომიწევს ლოდინი?

საქმეთა მოზღვაგების გათვალისწინებით, შესაძლოა, მოგიწიოთ ერთი წელი დალოდება, სანამ სასამართლო თქვენი განაცხადის თავდაპირველ განხილვას მოახერხებდეს. ზოგიერთი განაცხადი შეიძლება სასწრაფოდ იქნეს მიჩნეული და მის განხილვას პრიორიტეტი მიენიჭოს, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნულია, რომ განმცხადებელს ფიზიკური საფრთხე ემუქრება.

რას შეიძლება ველოდე ჩემი საჩივრის განხილვის შედეგად?

თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენცია დაირღვა, მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება "სამართლიანი დაკმაყოფილების" შესახებ; ეს არის ფულადი თანხა ზიანის გარკვეული ფორმების საკომპენსაციოდ. გარდა ამისა, სასამართლომ შეიძლება მოსთხოვოს კონვენციის დამრღვევ სახელმწიფოს, აგინაზღაუროთ საქმის წარდგენის პროცესში გაწეული ხარჯები. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ დარღვევას არ ჰქონია ადგილი, თქვენ არ მოგიწევთ დამატებითი ხარჯების (როგორც არის, მაგალითად, მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გაღებული ხარჯები) გაწევა.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ:

- სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გააუქმოს სახელმწიფო მასშტაბის გადაწყვეტილებები ან ქვეყნის კანონები;
- სასამართლო არ აგებს პასუხს მისი განჩინების განხორციელებაზე. სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანის შემდეგ პასუხისმგებლობა ეკისრება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, რომლის ამოცანაა, მეთვალყურეობა გაუწიოს განჩინების შესრულებას და უზრუნველყოს ნებისმიერი კომპენსაციის გადახდა.

რისი გაკეთება არ შეუძლია ჩემთვის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს?

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ წარმოადგენს ეროვნული სასამართლოების სააპელაციო სასამართლოს; მას არ შეუძლია

საქმეების ხელახლა მოსმენა, ამ სასამართლოების გადაწყვეტილებათა გაუქმება, შეცვლა თუ გადასინჯვა;

- სასამართლო უშუალოდ არ გიშუამდგომლებთ ხელისუფლების იმ ორგანოსთან, რომლის წინააღმდეგაც საჩივარი გაქვთ შეტანილი;
- სასამართლო არ დაგეხმარებათ თქვენი განაცხადის შესადგენად იურისტის პოვნაში თუ მისთვის ჰონორარის გადახდაში;
- თქვენ არ შეგიძლიათ, წარადგინოთ საჩივარი რომელიმე სხვა იურიდიული დოკუმენტის (გარდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის) დარღვევის გამო. სხვა დოკუმენტებში ვგულისხმობთ, მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას ან ძირითად უფლებათა ქარტიას და ა.შ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ უნდა აგერიოთ ევროპის თანამეგობრობათა მართლმსაჯულების სასამართლოში, რომელსაც ლუქსემბურგში უდევს ბინა;
- სასამართლოს არ შეუძლია, მოგაწოდოთ რაიმე ინფორმაცია იმ სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი დებულებების თაობაზე, რომლის წინააღმდეგაც საჩივარია მიმართული.

დამატებითი ინფორმაცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ ინტერნეტგვერდზე: www.echr.coe.int

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:

ტელ.: + 33 (0)3 88 41 20 18

ფაქსი: + 33 (0)3 88 41 27 30

ბუკლეტი გამოიცა ორგანიზაციის *ოსლოს კოალიცია რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებაზე* ფინანსური მხარდაჭერით.

ადამიანის უფლებათა ცენტრი

თქვენი უფლებების დარღვევის შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს და სახალხო დამცველს დახმარებისთვის.

www.religiebi.info

ჩვენი კოორდინატებია:

ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისის ოფისი

აღ. ყაზბეგის 3ა, II-სად. IV სართული, ბინა 22. თბილისი 0160

ტელ.: (+995 32) 37 69 50 (+995 32) 45 45 33

ფაქსი: (+995 32) 38 46 50

ელ-ფოსტა: hridc@hridc.org hridc@internet.ge

ვებ-გვერდი: www.hridc.org/

www.humanrights.ge/

www.religiebi.info

სახალხო დამცველის ოფისი

ნინო რამიშვილის ქ. 6, თბილისი 0179

ტელ.: +99532 913814 / 913815 / 913841 / 913842 / 913843 / 913875 / 913876 / 913877

ფაქსი: +99532 922470

ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ვებ-გვერდი: www.ombudsman.ge